ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო — რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№26 (60) ივნისი, 2007 წელი — ფასი 30 თეთრი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

26 ივნისს შედგა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელმაც განიხილა მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ათვისებისა და მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით გაწეული მუშაობა, ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის გამოყენების წესის, ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების მიმდინარე რემონტისათვის თანხის გამოყოფის, რაიონების მოსახლეობის ავტოტრანსპორტით მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ცაგერი-ტვიშის ავტობუსის დანიშვნის შესახებ და სხვა საკითხები.

მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო შესაბამისი დადგენილებები და განკარგულებები.

ამით, 26 ივნისის საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სემინარები

სამი ნაყოფიერი დღე ჟურნალისტთათვის

წყნეთის პედაგოგთა და მეცნიერთა სასწავლო ცენტრში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა რეგიონალური პრესის ასოციაციასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა ჟურნალისტთა შეკრებას. შეკრებაში მონაწილეობას იღებდა 22 ჟურნალისტი სხვადასხვა გაზეთიდან.

სემინარი გახსნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა ქალბატონმა მანანა ღურჭუმელიძემ.

სემინარული მუშაობა კი განაგრძო მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გადამზადების ექსპერტმა ბატონმა გია ნოზაძემ, თემით „განათლების რეფორმა საქართველოში: პრობლემა, მიმდინარეობა, შედეგები.“

სემინარული მუშაობა განვაგრძეთ თავისუფლების ინსტიტუტის ექსპერტ ქალბატონ თეა თუთბერიძესთან თემით „საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეურვეო საბჭოების საქმიანობის აქტუალური საკითხები.“

სპმთპ–ს იურისტმა, ქალბატონმა მაია ლიპარტელიანმა განიხილა თემა „განათლების სისტემის მარეგულირებელი ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა (მაია ლეჩხუმელია და მისთვის აქაური პრობლემებიც კარგადაა ცნობილი).

თითქმის არცერთ თემას უპოლემიკოდ არ ჩაუვლია, ჟურნალისტები ყველა ქვეტექსტში საუკეთესოს ჩადებას და რეალიზებას მოვითხოვდით.

ძირითადი საკითხი განათლების სფეროს ეხებოდა, ყველაზე მტკივნეულად ჟურნალისტთა უმრავლესობამ სკოლების დამსხვილების თემა აღვიქვით. შევეცადე, ჩვენი რელიეფიდან გამომდინარე ჩემი პოზიცია დამეფიქსირებინა ამ საკითხზე და სფეროს თითქმის ყველა პრობლემაზე, რაც ჩვენი რაიონისათვის მომგებიანია თუ გათვალისწინებული იქნება.

სემინარს სხვებთან ერთად ესწრებოდა აგრეთვე ამერიკული ექსპერტი, რომელიც დაინტერესდა გაზეთების მუშაობით და მითითებებიც მისცა ჟურნალისტებს.

აქ საუბარი იყო ზოგადად ადამიანის უფლებებზეც, იმაზე, რომ თავისუფლების ინსტიტუტი კვლავაც მზადყოფნაშია უფლებადარღვეული ადამიანების მხარდასაჭერად, პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების იურისტი კი უფლებადარღვეული პედაგოგის უფლებათა აღსადგენად.

იურისტებმა გაგვაცნეს ბევრი კანონი, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გამოადგება ყოველდღიურობაშიც კი, მათგან საფუძვლიანი კონსულტაციების მიღება კი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადეს.

ამ სამმა დღემ ძალზე ნაყოფიერად ჩაირა წყნეთში, რისთვისაც დიდი მადლობას ვუხდით ორგანიზატორებს.

თამარ დავითულიანი

ინტერვიუ

ლეილა გურგუჩიანი: „დიდ მიღწევად მიმაჩნია რომ ორი რაიონის გაერთიანებულ სასამართლოთა ცენტრი ცაგერშია“

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში სასამართლოების თემა ფრიად აქტუალურია, აქ გატარდა და დღემდე მიმდინარეობს რეფორმები, ბევრი სასამართლო პროცესი, გახმაურებული და საზოგადოების ყურადღების ცენტრშია.

გაზეთი „ახალი ლეჩხუმი“ თავისი დაარსების დღიდან მეტ-ნაკლები დატვირთვით თანამშრომლობს ჩვენი რაიონის სასამართლოსთან–მართლმსაჯულების განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს რგოლთან და მის თავმჯდომარესთან–ქალბატონ ლეილა გურგუჩიანთან.

მცირეხნიანი პაუზის შემდეგ კვლავ ვესტუმრეთ ქალბატონ ლეილას, მან ჩვეული ყურადღება, პასუხისმგებლობის გრძნობა და გარკვეული სიახლეებიც დაგვახვედრა, რომელსაც გზადაგზა გაგაცნობთ.

–ამ ბოლო ხანს ჩვენი გაზეთი ოდნავ ჩამორჩა ცაგერის სასამართლოს ცხოვრების რიტმს. რა მდგომარეობაა დღეისათვის სასამართლოში?

–მადლობა მინდა გადავუხადო ადგილობრივ მედიას ჩვენს მიმართ გამოჩენილი ყურადღების გამო, იმისათვის, რომ დაინტერესებული ხართ სასამართლოს საქმიანობით, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს განხორციელების უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებათაგანია ადამიანისათვის. ვფიქრობ, ცაგერის პირობებში, შეძლებისდაგვარად არ ირღვევა ეს უფლება, თუ არ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორს, რომ ადამიანებს თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობისა და საკომუნიკაციო პრობლემების გამო უჭირთ სასამართლოში მოსვლა და მხოლოდ უკიდურეს სიტუაციაში მოგვმართავენ ჩვენ.

სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობამ მოიმატა, კატეგორიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა რიცხვმა იკლო, უფრო ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებებია, ალბათ, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთა რიცხვმა იმატა, საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადა არ ირღვევა, მაქსიმალურად ვცდილობთ პროცესები დავნიშნოთ ისეთ დროს, როდესაც ლაჯანურის ხეობიდან ტრანსპორტი მოდის აქეთ და ამ მხრივ მაინც შევუწყოთ იქაურ მოსახლეობას ხელი, გამოცხადდნენ სასამართლო სხდომებზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეჩხუმში სამართლებრივი კულტურის მქონე ხალხია, განსაკუთრებულ პატივისცემას იჩენენ სასამართლოს მიმართ და იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის არასოდეს არ იშლება პროცესი მხარეთა გამოუცხადებლობის მიზეზით, ეს დიდი მიღწევაა. ბევრ რეგიონში და ცენტრშიც კი არ ხდება ასე... თუმცა ალბათ უკეთესი შემფასებლები თქვენ ბრძანდებით ანდა ნებისმიერი გარეშე პიროვნება.

–ცნობილია, რომ ცაგერის რაიონული სასამართლო მრავალმხრივ დადებითად შეფასებული სასამართლოა არამარტო ჩვენს მხარეში, არამედ მთელს რესპუბლიკაში. რამდენად ინარჩუნებს დღეს იგი მოწინავის რეპუტაციას?

–ცაგერისა და ლენტეხისათვის დიდი მიღწევაა და მეც მოხარული ვარ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის, ბატონი ვალერი ცერცვაძის ძალისხმევით, ლეჩხუმისა და სვანეთის ტკივილის გულთან მიტანით გაერთიანებული სასამართლო დარჩება ცენტრით–ცაგერში. ე. ი. ცაგერს

გვ.2

ინტერვიუ

ლეილა გურგუჩიანი: „დიდ მიღწევად მიმაჩნია რომ ორი რაიონის გაერთიანებულ სასამართლოთა ცენტრი ცაგერშია“

(დასასრული)

შემოუერთდება ლენტეხი, ლენტეხში იქნება მაგისტრატი სასამართლო. საუბარი იყო რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სასამართლოთა გაერთიანებაზე—ცენტრით ამბროლაურში, რაც ცაგერ—ლენტეხის მოსახლეობისათვის ძალიან მოუხერხებელი იქნებოდა თუნდაც ორბელის უღელტეხილის გამო, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში.



ნამდვილად დიდ პატივად უნდა ჩაითვალოს ლეჩხუმისათვის, რომ ბატონი კონსტანტინე კუბლაშვილი პირადად ორჯერ იყო ჩამოსული ლეჩხუმში, რისთვისაც ულრმესი მადლობა მას! ასევე მოიარა სვანეთი და რაჭის რეგიონი და მივიდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ჩვენს რეგიონში უნდა იყოს ორი გაერთიანებული სასამართლო ცაგერი—ლენტეხი, ცენტრით ცაგერში და ამბროლაური-ონი ცენტრით ამბროლაურში. რაც შეეხება მოწინავე რეპუტაციას, ამის განსჯა, მე, როგორც მოსამართლეს, არ შემიძლია, ასეთ საკითხში ხალხია მსაჯული და მას ვერავინ ჩაენაცვლება!..

ცაგერის სასამართლო თავისი მატერიალურ—ტექნიკური ბაზით, თქვენც მოგეხსენებათ, საუკეთესო იყო სასამართლოთა შორის იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო სახსრები, სასამართლოს კეთილმოწყობისთვის არ გახარჯულა, სასამართლოს თანამშრომელთა ძალისხმევით ხდებოდა მისი მიმდინარე შეკეთება და შენარჩუნება, მაგრამ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ საკითხს და ბევრ მათგანში ევროპული დონის სარემონტო—საამშენებლო სამუშაოები ჩატარდა, რისთვისაც თანხებს იღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, გამონაკლისი არც ცაგერის რაიონული სასამართლოა, დღეის მდგომარეობით პირველი ნაბიჯი გადადგმულია, შედგენილია სასამართლოს პროექტი, საკმაოდ კვალიფიციური არქიტექტორების მიერ, რასაც ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული სასამართლოების დეპარტამენტი. გამოცხადდება ტენდერი და გამარჯვებული დაიწყებს ამ სამუშაოების შესრულებას ცაგერის რაიონში, ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ეს სამუშაოები დაიწყება 2008 წლის პირველი იანვრიდან.

—არის თუ არა რაიმე სახის რეორგანიზაცია სასამართლოს შიდა სისტემაში, გყავთ თუ არა იმდენად ჯანსაღი კოლექტივი, როგორიც რეგიონში წამყვან სასამართლოს ესაჭიროება?

—ამოქმედდა სასამართლოს მანდატურის სამსახური, უკვე გვყავს სამი მანდატური, გაერთიანებულ სასამართლოს კი დაემატება მანდატურის სამსახურის უფროსიც.

დღეს ბევრ დაწესებულებას ემუქრება და ზოგმა განახორციელა კიდეც კადრების



შემცირება, ამის საშიშროება ჩვენთან არ არის, მაგრამ ერთი რამ კი გასათვალისწინებელია—სასამართლოთა გაერთიანების შემდეგ ჩატარდება კონკურსი, მასში შესაბამისი განათლების ნებისმიერ პიროვნებას შეეძლება მონაწილეობის მიღება და არ არის გამორიცხული ვინმე შეიცვალოს უკეთესი კანდიდატურით.

ანალოგიურად მოხდა სასამართლოს მანდატურების შერჩევა, კონკურსის წესით, და ჩამოყალიბდა ეს სამსახური, მიმაჩნია, რომ ღირსეული პიროვნებები დასაქმდნენ. მანდატურის საქმიანობას არეგულირებს შესაბამისი კანონი, ასევე სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს საპროცესო კოდექსის ნორმებშიც მითითებულია მათი უფლებამოსილებების შესახებ. მათ ფუნქციაში შედის ქცევის მოწესრიგება სასამართლო სხდომების დროს, წესრიგის დაცვა და სათანადო ზომების მიღება წესრიგის დამრღვევ პირთა მიმართ, რაც მოიცავს საჯარიმო სანქციას 500 ლარამდე, ასევე ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს მოსამართლე, მანდატურის მიერ შესაბამისი ოქმის წარდგენის შემდეგ.

აქვე აღვნიშნავ, რომ სასამართლოს ამჟამინდელი კოლექტივი საკმაოდ შეკრული და კვალიფიციურია, ჩემს თანამშრომლებს აქ ხანდახან თავიანთი ფუნქციის გარდა სხვადასხვა საქმეების შეთავსებაც კი უხდებათ, რაც საერთო ჯამში, სასამრთლოს უადვილებს მუშაობას.

—თქვენ საკმაოდ კვალიფიციური მოსამართლე ბრძანდებით, ის თუნდაც ზემოხსენებული ევროსტანდარტები თქვენთვის უცხო ნამდვილად არ არის, გაცილებით ადრე მიიყვანეთ სასამართლოს შენობაც და ფუნქციონირებაც თითქმის ამ დონეზე. რამდენად გიადვილდებათ (ან პირიქით, გირთულდებათ) დღევანდელ სიტუაციაში მუშაობა, როგორც მოსამართლეს და როგორც ქალს?

—სიტუაციები პირადად ჩემზე ნამდვილად არ მოქმედებს, ყბადაღებული ჭორი იმის შესახებ რომ სასამართლოები დისკრიმინირებულ სიტუაციაში არიან და ვიღაცის გავლენის ქვეშ ექცევიან, ასეთი რამ მე ნამდვილად არ მიგრძვნია. ცაგერის რაიონი შეიძლება მაქსიმალური დატვირთვის რაიონად, საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება არ ჩაითვალოს, მაგრამ პარალელურ რეჟიმში ერთი წელი ვიმუშავე წყალტუბოს რაიონის მოსამართლედ და მსგავსი ჩემს შემთხვევაში იქაც არ ყოფილა.



ამდენად, დროს, ზეგავლენის თვალსაზრისით, მნიშვნელობა არა აქვს.

კანონმდებლობა იცვლება, იხვეწება, ვუახლოვდებით ევროსტანდარტებს, გამარტივდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამარტივდა საქმეთა განხილვის პროცედურა, შემოვიდა საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, მხარისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც მომგებიანი, ამდენად, ეს საშუალებას გვაძლევს და გვიიოლებს მუშაობას.

—ასეთი დატვირთვების ფონზე როგორ უთავსებთ სამსახურს და ოჯახს ერთმანეთს?

—ვცდილობ, არცერთს არ დავაკლო, მაგრამ პრიორიტეტს მაინც სამსახურს ვანიჭებ, იმიტომ რომ ეს არ არის ჩვეულებრივი სამსახური, აქ წყდება ადამიანთა ბედი, ერთი შეცდომის დაშვებაც კი აქ უპატიებელია.

დღეს ლენტეხის რაიონული სასამართლოს მიერ აცილებელი საქმე, რომელიც ადამიანთა დაპირისპირებაში იხატებოდა და კარგა ხანია გრძელდება, მორიგებით დავასრულე და მე ამით ბედნიერი ვარ, რაღაცნაირად თითქოს, ამ ადამიანთა ცხოვრებით ვცხოვრობ.

—სამომავლო გეგმები და სურვილები?

—ველოდები, რომ სასამართლოს მატერიალურ—ტექნიკური ბაზა ამ ჯერარდაწყებული, მაგრამ მომავალი რემონტის შემდეგ იქნება ისეთი, როგორზეც ვოცნებობ. ჩემი სურვილია ის პროექტი, რომელიც ხელთ მაქვს, გაიცნოს თქვენმა მკითხველმაც. რჩება მხოლოდ მზიდი კონსტრუქციები, დანარჩენი აქ ყველაფერი იცვლება რადიკალურად.

ვისურვებთ იყოს ნაკლები დანაშაული, თუმცა ცაგერის რაიონული სასამართლო ყოველთვის მზადყოფნაში იქნება სამართლიანობის დასაცავად.

—გმადლობთ.

თამარ დავითულიანი

ინტერვიუსთან ერთად იხილეთ სასამართლოს ახალი პროექტის ნაწილი.

მაღალპროფესიონალიზმი, პლუს კეთილსინდისიერება

დათო ლეთოდიანი ცაგერში გაზრდილი წესიერი და თავმდაბალი ახალგაზრდაა. მისი პიროვნებად ჩამოყალიბების წლებმა ლეჩხუმელთა თვალწინ ჩაიარა და ყველას ერთი აზრი აქვს—კომუნიკაბელური, ნიჭიერი და საკუთარი საქმის მცოდნე... დათომ ლეჩხუმშივე შექმნა ოჯახი და სამ შვილს უზრდის საქართველოს, იგი მამაკაცისათვის შესაფერი სიტყვამოკლე რესპოდენტი აღმოჩნდა, თუმცა ერთი რამ უდაოა—დათო ლეთოდიანის სახით საგადასახადო სამსახურს ერთ-ერთი მცოდნე და პერსპექტიული მუშაკი ჰყავს...

ბატონო დავით! მოდით, თქვენი ბიოგრაფიული შტრიხებით დავიწყოთ!

—დავიბადე 1963 წლის 28 აგვისტოს ცაგერში, 1980 წელს დავამთავრე ცაგერის საშუალო სკოლა, 1980-82 წლებში ვმუშაობდი ცაგერის კოლმეურნეობა „პროგრესის“ კოლმეურნედ, 1982 წელში ჩავირიცხე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც დავამთავრე 1989 წელს. მოხდილი მაქვს სამხედრო—სავალდებულო სამსახურიც. 1989-91 წლებში ვმუშაობდი ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამმართველოს ბინათმშენებლობის უფროსად. 1991 წელში ამირჩიეს ქვედა ცაგერის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ, სადაც ვიმუშავე 1995 წლამდე. 1995-96 წლებში ვმუშაობდი ცაგერის რაიონის გამგეობის რეგიონალური მართვის განყოფილების მთავარ სპეციალისტად. 1996 წ. დავინიშნე ცაგერის საგადასახადო ინსპექციაში ინსპექტორად, ხოლო 2006 წ. უფროს ინსპექტორად. 2007 წლის 5 აპრილიდან დავინიშნე ქუთაისის მთავარ საგადასახადო ინსპექტორად ცაგერის რაიონში.

მყავს მეუღლე და სამი შვილი.

—რა არის თქვენი სამსახურის ზუსტი დასახელება და რა ფუნქციებითაა დაკავებული ეს უწყება დღეს? რამდენი თანამშრომელია დასაქმებული?

—ჩვენს სამსახურს ასეთი დასახელება აქვს—ქუთაისის საგადასახადო ინსპექცია, ხოლო მე პირადად ამ ინსპექციის გადასახადების ადმინისტრირების სამმართველოს მთავარი საგადასახადო ინსპექტორი ვარ ცაგერის მუნიციპალიტეტში. ჩვენი ძირითადი ფუნქცია გადასახადების ადმინისტრირებით და დარიცხული გადასახადების ამოღებით შემოიფარგლება. ამ ფუნქციების შესასრულებლად ჩვენთან დასაქმებულია სამი თანამშრომელი.

—თქვენს სამსახურს უშუალო და პირდაპირი შეხება აქვს ისეთ სასიცოცხლო პულსთან, რასაც რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალპროფესიონალიზმი, პლუს კეთილსინდისიერება

(დასასრული)

ბიუჯეტი ჰქვია. მოდით, მოკლე ექსკურსით გავაკეთოთ ადრინდელ და ახლანდელი ბიუჯეტის შედარება...

–მოკლე ექსკურსი მოკლედ რომ ვთქვათ ასეთია: შეიმჩნევა არნახული მატება, რაც არა მარტო ჩვენი სამსახურების კარგ მუშაობას უნდა დავაბრალოთ, არამედ ჩვენი სახელმწიფოს სწორ პოლიტიკას, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს გვერდით დგომას და თითოეული გადამხდელის პასუხისმგებლობას.

სამსახუროებრივ ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ თქვენთვის ეს სფერო უცხო ალბათ არაა... მაგრამ მაინც–რა შეიცვლა თქვენი, როგორც ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ?

–თვითონ ეს სისტემა რესპუბლიკაში და მათ შორის ჩვენს სინამდვილეში ისეთი აწყობილი მექანიზმებით მუშაობს, სიმართლე გითხრათ, ბევრი ძალისხმევა არ დაჭირვებია, რომ საქმე კარგად გავაკეთოთ, თუმცა ვცდილობ, რაღაც ჩემეული შტრიხები მაინც შევიტანო...

–როგორ შესრულდა ექვსი თვის, მათ შორის ივნისის გეგმა? მიეჩვიენ თუ არა ჩვენი გადამხდელები ქვეყანაში ბოლო ხანს დამკვიდრებულ წესრიგს?

–2007 წლის იანვარ–ივნისის თვის მდგომარეობით ნაერთმა ბიუჯეტმა შეადგინა: გეგმა 416,1; შესრულება –485,6; ე. ი. 116,7%. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტში: გეგმა 324,1; შესრულება–380,2. ე. ი. 117,3%. ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა 92,0; შესრულებული–105,4, ანუ 114,6%. ხოლო ივნისის თვის ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 54,2, შესრულება 79,9, ე.ი. 147,4%. სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა 38,2, შესრულება 58,3, ე. ი. 152, 6%, ადგილობრივი ბიუჯეტი გეგმა 16,0, შესრულება 21,6, 135,2%.

–„ურჩი გადამხედელები“–ეს ტერმინი ადრე ხშირად გვესმოდა, დღესაც შემორჩა ასეთი კატეგორია?

–საბედნიეროდ, ამ ტერმინს უფრო და უფრო ნაკლებად ვხვდებით.

–ძირითადი წყარო, რომლითაც რაიონის ბიუჯეტი ივსება...

–საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან ხელფასების დროული გაცემა, იურიდიული პირებისა და ინდ. მეწარმეთა დროულად გადახდა გადასახადებია, ერთჯერადი გადასახადები.

–თქვენი მუშაობა ძირითადად ორი სახის–ცენტრალურსა და ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებითაა დაკავებული. როგორ არეგულირებთ აღნიშნულ საკითხებს?

–ორივე სრულდება გადაჭარბებით. განხორციელდა იძულებითი ღონისძიებები –დაიდო საინკასო დავალება და განაღდდა კიდეც. ამჯერად ამ მეწარმეების დასახელებისაგან თავს შევიკავებ.

–ხომ არ იგეგმება რაიმე განსაკუთრებული ძვრები ჩვენი რაიონული ბიუჯეტის გაუმჯობესების თვალსაზრისით?

–მაქვს მოლაპარაკება ზოგიერთ ძლიერ ფირმებთან, რომლებიც სამუშაოებს აწარმოებენ ცაგერში და თანხებს სხვაგან რიცხავენ. მე მგონი, საკითხი ჩვენთვის სასარგებლოდ გადაწყდება.

ძირითადი სიძნელეები, რაც ამ სფეროში ოდესმე შეგხვედრია?

–ეს სიძნელეები ძირითადად წინა წლებში იყო, მაშინ, როცა გადასახადებს მალავდნენ და კანონმორჩილებაც უცხო ხილად მოიაზრებოდა...

თვლით თუ არა, რომ საგადასახადო სამსახურის წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია თვით იქ მომუშავეთა მაღალი ავტორიტეტი, პრინციპულობა და კეთილსინდისიერება?

–ის კომპონენტები, რომლებიც ახლა თქვენ ჩამოთვალეთ საჭირო და აუცილებელია არა მარტო ჩვენს სფეროში მომუშავე მოქალაქეებისათვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისათვის, რომელიც რაიმე საქმიანობას ეწევა. ეს ის თვისებებია, ნებისმიერ ჩვენგანს რომ ალამაზებს

მარინა სვანიძე

გზის დალოცვა „სკოლისკენ“

ზაფხულის დასაწყისი სწავლის დასრულების პერიოდთან ასოცირდება, კიდევ ერთი ახალი გამოშვება გააცილა ცაგერის №-1 საბავშვო ბაღმა.

პირველი თვალი სახელდახელოდ მორთულმა სცენამ მიიპყრო, რომლის დიზაინი შორენა სოხაძეს ეკუთვნოდა.

...მერე კი ზეიმიც დაიწყო, გოგო-ბიჭები ლექსებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, თვალებში შესცქეროდნენ მათ აღმზრდელი-პედაგოგები, ამხნევებდნენ მშობლები.

ქალბატონი ნორა ჯანელიძე და ირინა ჩხეტიანი, მათ მომზადებაში მთავარი ღვაწლის ჩამდებნი გახლავენ, მათ უშურველად ეხმარებოდათ აღმზრდელის თანაშემწე ქალბატონი ლამზირა მდივანი, ქორეოგრაფიულ მომზადებაში კი ლომის წილი ქალბატონ ბელა ნემსაძეს უდევს.

აღსანიშნავია, რომ აქ თითქოს ყველა ბავშვი კარგად მღერის, მათი მოსმენა მოწყენილობის გრძნობას ნამდვილად არ იწვევს, რაც უდავოდ მუსიკის მასწავლებლის, ქალბატონ რუსუდან კოპალიანის დამსახურებაა, რომელიც ინსტრუმენტის პრობლემას ამ საზეიმო დღესაც ვერ მალავს...

ძნელია განვრთნა ასეთ ასაკში პატარები, მოამზადო იმდენად კარგად, რომ აპლოდისმენტები დაიმსახურონ, ამისათვის მადლობა ეკუთვნის თითოეულ თანამშრომელს საბავშვო ბაღისას.

ქალბატონმა ცარო გუგავამ, ბაგა-ბაღის გამგემ მიულოცა ეს დღე პატარებს, მათ მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს, კიდევ ერთხელ მიუალერსა აღზრდილებს.

ზეიმს ესწრებოდა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სამსახურის უფროსი ქალბატონი მარინა ბურჯალიანი, რომელიც აქ ხელდამშვენებული მოვიდა და დაასაჩუქრა პატარები, მადლობა გადაუხადა აღმზრდელებს.

ზეიმს საპატიო სტუმრად ესწრებოდა ჩვენი რაიონის ნოტარიუსი ქალბატონი ქეთევან ბოჭორიშვილი, რომელიც ნასიამოვნები დარჩა აქაური გარემოთი.

თამარ დავითულიანი

პატარების ზეიმი ორბელის ბაღში

ათასფრად აჩირაღდნებულ დარბაზში ხვდებოდნენ ორბელის ბაგა-ბაღის აღსაზრდელები და პედაგოგები (გამგე გიული გვიშიანი) სტუმრებსა და მაყურებლებს. ისმოდა ლექსი, მუსიკა, მონდომებით ასრულებდნენ აღსაზრდელები ქართულ თუ ევროპულ ცეკვებს, ირგვლივ არიგებდნენ უამრავ ყვავილებს, სიწმინდესა და სიფაქიზეს.

ღონისძიებაზე მისულმა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების სამსახურის ხელმძღვანელმა ქალბატონმა მარინა ბურჯალიანმა მათ სამახსოვრო სასკოლო საჩუქრები გადასცა და სამომავლო გზებიც დაულოცა.

გზა დაგელოცოთ, პატარებო!

მადლობა ყველას, ვინც ეს ლამაზი დღე მოაწყო!

მარინა სვანიძე

№-2 საბავშვო ბაღმა კიდევ ერთი გამოშვება იზეიმა. საგანგებოდ მომზადებული პატარები საგანგებოდ და თვალსაჩინოდ მორთულ სცენაზე (ნატო ფოჩხიძის და ფსიქოლოგ ელისო ცვარიანის დიზაინი) მართლაც ფერიებს დაემსგავსნენ.

სიმღერებით, ლექსებით ამხიარულებდნენ ისინი მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს. პედაგოგთა მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია და პატარებმა მართლაც მშვენიერი კონცერტი გვაჩვენეს.

ან რა გასაკვირია, როცა მათ პედაგოგი ღვაწლმოსილი ქალბატონი იზო ბობოხიძე ბრძანდება, რომელიც თავის ცოდნას და გამოცდილებას, ზრუნვას არ აკლებს პატარებს, მის გვერდით ენერგიული და ამ საქმისათვის მოწოდებული პედაგოგი ქალბატონი ნატო ფოჩხიძე უდგას.

მუსიკალურ განწყობას ქალბატონი მზია ცხადაია უქმნიდა, აქაც ეტყობათ ბავშვებს პროფესიონალის ხელი. რუსულ ენაზე დადგმული ნომრების ავტორი კი ქალბატონი ვიოლეტა მურცხვალაძე ბრძანდება, რუსული ენაც მშვენივრად მოირგეს პატარებმა. ელისო ცვარიანი, მზევინარ ჩაკვეტაძე–აი, ის, პიროვნებები, რომლებიც ამ ჯგუფის ჩამოყალიბებაში დაუღალავად იღებდნენ მონაწილეობას.

ზეიმის ბოლოს ბაღის პედაგოგებმაც შეასრულეს სიმღერა და ნატო ფოჩხიძემ პატარების მატარებელი მათ მომავალ პედაგოგს სკოლაში, ნინო შკუბულიანს გადააბარა, ზეიმს ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნუნუ ჩაკვეტაძეც ესწრებოდა.

№-2 ბაღის გამგემ, ქალბატონმა ლელა კვირიკაშვილმა დალოცა ბავშვები, მიულოცა მშობლებს და დამსწრეთ ეს ლამაზი დღე.

იუბილარ ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ იზო ბობოხიძეს ასევე ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, ქალბატონმა ლამარა ჩიქოვანმა მთელი კოლექტივის სახელით მიულოცა დაბადების დღე. ჩვენც ვუერთდებით ამ მილოცვას!

ზეიმის ბოლოს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სამსახურის უფროსმა, ქალბატონმა მარინა ბურჯალიანმა საჩუქრები გადასცა ბაღის აღსაზრდელებს და ბედნიერი მომავალი უსურვა.

თამარ დავითულიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარს აკეთებს ახალი სამსახურის უფროსი

როგორც ცნობილია მკითხველისთვის, ცაგერის მუნიციპალურ გამგეობასთან შეიქმნა შრომის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური. მასში გაერთიანდა გამგეობის სამსახური, ლტოლვილთა და ვეტერანთა სამსახურები, დაემატა მზრუნველობა მოკლებულთა ორი სასადილო-ცაგერსა და ლაჯანაში.

სამსახურს ხელმძღვანელობს ჩვენთვის კარგად ნაცნობი პიროვნება, ახალგაზრდა კაცი გია ლიპარტელიანი. იგი ადრე მუშაობდა ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ცაგერის რაიონული განყოფილების გამგედ. ასე რომ, კარგადაა ჩახედული სფეროში, აქვს გამოცდილება, ესმის პრობლემები.

დღეს იგი ჩვენი გაზეთის სტუმარია და კომენტარს გააკეთებს ახალი სამსახურის უფლება-მოვალეობებზე, პრიორიტეტულ ამოცანებზე.

მოვუსმინოთ:

მიმდინარე წლის აპრილში შეიქმნა გამგეობის შრომის, საზოგადოების ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახური. მასში გაერთიანდა გამგეობის სამსახური, ლტოლვილთა და ვეტერანთა სამსახურები, დაემატა მზრუნველობა მოკლებულთა ორი სასადილო-ცაგერსა და ლაჯანაში.

გარდა ამისა, საერთო კურირებას ვუწევთ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს: რაისავადმყოფოს, საზოგადოებრივ ჯანდაცვას, შპს რაიონულ პოლიკლინიკას „მკურნალი", ლაჯანის ამბულატორიულ გაერთიანებას.

რაც შეეხება სოციალურ სფეროს: დებულების თანახმად შეძლებისდაგვარად ვეხმარებით შეჭირვებულ მოსახლეობას. უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებს მიცვალებულთა დაბრკოლებისათვის გადავცემთ თანხას 100 ლარის ფარგლებში.

ახალშობილთაოჯახებისათვის დახმარება 50 ლარიდან 100 ლარამდე გავზარდეთ.

ომის ვეტერანებზე პრეზიდენტის ბრძანებით პრეზიდენტისვე ფონდიდან 9 მაისის ღონისძიებებისათვის გაიცა თითოეულზე 100 ლარის ოდენობით. მათთან გათანაბრებულ პირებზე—50 ლარი. ვეტერანებთან შეხვედრისა და ტრანსპორტირებისათვის თანხა უკვე გასცეს გამგეობამ და საკრებულომ.

ვეტერანის გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახზე გაიცემა 250 ლარის დახმარება. სამწუხაროდ, სხვა სახის დახმარება ჯერჯერობით არ გვაქვს.

ლტოლვილთა მომსახურება ძველებურად რჩება. გარდაცვალების შემთხვევაში ჩვენი სამსახური გასცემს ერთჯერად დახმარებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მუშაობს უმწეოთა ორი სასადილო. ცაგერში აღრიცხვაზეა 80 ადამიანი. აქ ლობიო, ზეთი, პური-ჰუმანიტარული შემოდის, დანარჩენი პროდუქტების შეძენა კი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ლაჯანის სასადილო მთლიანად რაიონის ბიუჯეტიდან ფინანსდება, აქ 27 პიროვნება აღირიცხება.

ჯანდაცვის სფეროში—გარკვეულწილად ვაფინანსებთ რაისაავადმყოფოს ექიმებს. ფინანსდება რაიპოლიკლინიკის მედპერსონალი, აგრეთვე საფერშლო პუნქტები, სადაც ექიმი არ ჰყავთ, იქ სადაც არის—დაფინანსება ხდება ცენტრალური ბიუჯეტიდან.

სრულად ფინანსდება რაიონული ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელმაც განიცადა რეორგანიზაცია. მას დამატებით გადაეცა გაუქმებული სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ფუნქციები. ჯანდაცვის ცენტრი სრულად უზრუნველყოფს მოსახლეობის ვაქცინაციას (ძირითადად ბავშვთა დაავადებებზე).

მომავალ წლიდან უნდა გაიზარდოს დაფინანსება. სარემონტოა რაისავადმყოფო, პოლიკლინიკა ავარიულ მდგომარეობაშია და სასწრაფო, კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს.

რაიონს კი სათანადო საშუალება არ აქვს.

რაისაავადმყოფო განიცდის კადრების ნაკლებობას, არ აქვს თანამედროვე ტექნიკა.

ამას წინათ საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებით გამოიყო 1000 ლარი საავადმყოფოს ბავშვთა ინფექციური განყოფილების გასარემონტებლად.

ასე რომ, საკეთებელი ბევრია, პრობლემებიც. გამგეობა, საკრებულო გვერდში გვიდგანან და მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საზოგადოებამ იგრძნოს ჩვენი სამსახურის ძალა და სიკეთე.

მზევინარ ძნელაძე

რედაქციაში ჩვენილი მოვიდა

***

რედაქციაში სტუმარი გვეწვია. განაწყენებულმა მოგვიყვა, რომ წლების წინათ რაიონში ვეტერინარული სამსახური მოქმედებდა. ცაგერის ვეტ-აფთიაქი მთელს რაიონს ემსახურებოდა.

დღესაც არის ქალაქში ერთი პაწია ჯიხური, ე. წ. ვეტ-აფთიაქი, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში ხშირად დაკეტილია, მეორედ 13 კილომეტრი გამოვიარე ამ ხნის კაცმა და ხელცარიელი უნდა დავბრუნდეო უკან.

მკითხველის განცხადება გადავამოწმეთ. ვეტ-აფთიაქი მართლაც ხშირადაა დაკეტილი. ამაზე სხვებიც გამოთქვამენ საყვედურს. და ეს ამ დროს, როცა ჩვენს მოსახლეობას პირუტყვითა და ფრინველით გააქვს თავი და როცა რაიონში არც რამე დავადებაა გამორიცხული და არც ეპიდემია.

რაიონში არსებობს ვეტსამსახური, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის გასაჭირი. ვეტ-აფთიაქით რეგულარული მუშაობა საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ვფიქრობთ, ამ სამსახურის ვალდებულებაა.

შ. ნემსიწვერიძე,
ც. მუშკუდიანი

***

ცოტაც და კურკოვანი ხილი შემოვა ლეჩხუმში. რამდენი წელია ისე ლპება ჩვენში ხილი, რომ თითქმის ვერ ვსარგებლობთ. ქალაქში ტრანსპორტირება სიძვირის გამო უაზრობაა. არადა, სად წავიღოთ ამდენი ხილი? შარშან თითო—ოროლა შემოსულმა ვაჭარმა შეისყიდა ძალზე მცირე რაოდენობა და ისიც დაბალ ფასებში.

კურკოვანს თესლოვანი ხილიც მოჰყვება.

ვთხოვთ რაიონის ხელმძღვანელობას გულთან მიიტანოს ჩვენი გასაჭირი, იქნებ გამოძებნოს ვინმე, რომელიც დარწმუნებული ვართ უარს არ იტყვის ჩვენებური უნიკალური ხილის შესყიდვაზე და გახსნას ხილის მიმღები თუნდაც ერთი პუნქტი.

ეს უდიდესი მადლი იქნება. მოსახლეობა სულს ამოითქვამს, თუ ხილის გარკვეულ ნაწილს მაინც ჩააბარებს.

მოსახლეობის წარმომადგენლები.

***

პატარაა ჩვენი ქალაქის ბაზარი. რამდენიმე დახლთან ათობით ადამიანი დგას. შეჭირვებულ მოსახლეობას ნაკლებად აქვს რამე გასაყიდი, მყიდველიც ნაკლებია ჩვენი მწირი ბიუჯეტის გამო.

ვინც ყიდის, შესაბამის გადასახადს იხდის. მაგრამ მათ ვაჭრობის ელემენტარული პირობებიც არა აქვთ. რადგან შენობის ფართი ყველას ვერ ჰყოფნის, ბაზრის შესავლელში პირდაპირ ძირს ალაგია, ხილი, ლობიო, მარცვლეული, სხვადასხვა პროდუქტი. ეს რბილად რომ ვთქვათ, არაჰიგიენურია, ფეხებში გებლანდება ყველაფერი და, რაც მთავარია, თვალში გვხვდება ფეხზე საათობით დაყუდებული გასაცოდავებული გამყიდველები.

ნუთუ ასე ძნელია ელემენტარულ პირობების შექმნა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიფიქროთ ვაჭრობის კულტურაზე?

მყიდველი

ლეჩხუმმა უმასპინძლა საქართველოს ზონალურ პირველობას ქართულ ჭიდაობაში

ქ. ცაგერის გელა ხვადაგიანის სახელობის სპორტულ დარბაზში ჩატარებულ ამ შესანიშნავ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს დასავლეთ საქართველოს 11 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებმა.

ასეთი მაშტაბის შეჯიბრება ლეჩხუმში პირველად ჩატარდა. უშეღავათო და დაძაბულ ორთაბრძოლებში რომელიც მიდიოდა ქართული საჭიდაო მუსიკის ფონზე, ერთმანეთს პირველობისთვის ეცილებოდნენ ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, ტყიბულის, საჩხერის, ჭიათურის, ზესტაფონის, თერჯოლის, ლანჩხუთის, ლენტეხისა და ცაგერის უძილიერესი ფალავნები.

შეჯიბრების მონაწილეები და გულშემატკივრები დალოცა და საქართველოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში აკურთხა მამა ანტონმა.

სპორტულ დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. რომლებმაც იხილეს საინტერესო, დაძაბული ჭიდაობა. ტყიბულელი მერკვილაძე, ქუთაისელი ცინცაძე, საჩხერელი ბოყოველი, ცაგარელი სილაგაძე... შეჯიბრების ნამდვილი გმირები იყვნენ სამი-პირველი ადგილით.

ყველაზე ძლიერი გუნდი გამოკვეთილად ქუთაისი იყო, შემდეგ თავი გამოიჩინეს ტყიბულელებმა, რომლებსაც 2 ჩემპიონი ჰყავთ, საჩხერემ და ცაგერმა თითო-თითო გამარჯვებული ფალავანი აიყვანეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. დადებითი შთაბეჭდილება დატოვა ცაგერის რაიონის მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა გუნდმა. კარგი ჭიდაობით თავი გამოიჩინეს თეიმურაზ ახვლედიანმა, თორნიკე მურცხველაძემ, ვასო საღინაძემ, შალვა მეგრელმა, რომლებსაც სულ ცოტა დააკლდათ პრიზიორობადმე.

მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა ლაშა ლიპარტელიანმა, ხოლო გიორგი სილაგაძემ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა რომ ლეჩხუმს ჭიდაობაში პერსპექტივა აქვს. მისი ბრწყინვალე გამოსვლა და ჩემპიონობა გულშემატკივართა შესაშური ერთსულოვანი მხარდაჭერით, დიდი ოვაციებით გამოიხატა.

შთამბეჭდავი იყო სპორტული ღონისძიების გახსნა და გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

საქართველოს ზონალური პირველობის ჩატარებას ორგანიზაცია გაუწია საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ. სპორტულ შეჯიბრებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ. იური იმერლიშვილი-ფედერაციის გენერალური მდივანი, გოგი ბიწკინაშვილი—ვიცე— პრეზიდენტი, მსაჯთა ბრიგადა—მთავარი მსაჯი ეროვნული კატეგორიის არბიტრი კობა ქომეთიანი, მსაჯები ხალიჩაზე: საბჭოთა კავშირის პრიზიორები ჭიდაობაში თემურ წამალაშვილი და გურამ პეტრიაშვილი, ვეტერანი მოჭიდავე ჯოკია შკუბულიანი, უდავოდ ქების ღირსია რაიონის სპორტის სამსახური (მთ. სპეციალისტი გია სილაგაძე, სპორტული სკოლის დირექტორი ნური ხეცურიანი).

პრესტიჟული სპორტული ღონისძიების მოწყობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს. აქტიური მხარდაჭერისათვის მადლობის ღირსი არიან ცაგერის პოლიციის სამმართველო (უფროსი მირიან მეშველიანი), სახალხო ბანკის ცაგერის ფილიალი (ხელმძღვანელი ნინო კოპალიანი), ახალგაზრდობის სამსახური (მთ. სპეციალისტი თამილა ჭაბუკიანი), რომლებმაც დააწესეს პრიზები გამარჯვებულთათვის.

რაიონის სპორტის სამსახურის მიერ დაწესებული იყო: ლეგენდარული მოჭიდავის, ბეჭდაუდებელი ფალავანის კოლია ქვარიანის პრიზი (გადაეცა აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულს), წარსულში ცნობილი მოჭიდავის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ახალგაზრდებში ზურაბი (შახმან მეშველიანის პრიზი (გადაეცა 80 კვ. წონაში გამარჯვებულს), და ლეჩხუმში ჭიდაობის მეცენატის, რუსეთში მცხოვრები აწ გარდაცვლილი ჩვენი თანამემამულის რეზო ჩხეტიანის პრიზი (გადაეცა 75 კგ. წონაში გამარჯვებულს).

სპორტულ ღონისძიებას ესწრებოდა და მის ორგანიზატორებს, მონაწილეებს უდიდესი მორალური მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა ბატონმა ვალერი გიორგობიანმა, რომელიც იყო ამ დიდი საქმის ერთ-ერთი ინიციატორი.

უნდა აღინიშნოს შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე, რომელიც დადებით შეფასებას იმსახურებს 100-მდე სტუმრის მიღება დაბინავება, გამგზავრება არ ყოფილა არც ერთი ლაფსუსი, პირიქით ბევრი ითქვა სამადლობელი სიტყვები, დავესესხები, ერთ-ერთი სტუმრის ნათქვამს: „არ მეგონა ლეჩხუმში თუ ასეთი თბილი, სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობდა, დიდი მადლობა ყველას!“ კმაყოფილი არიან ცაგერშიც, ორი დღის განმავლობაში რაიონის მოსახლეობაში (საოჯახო სასტუმროების ქსელში), საზკვების ობიექტებში 2500 (ორიათას ხუთასამდე) ლარის შემოსავალი იყო მომავლინებელი ორგანიზაციებისაგან, ფედერაციის მიერ გამოყოფილი კვების ხარჯებიდან, რაც კარგი მაგალითია ლეჩხუმში სპორტული ტურიზმის განვითარების მნიშვნელობის კუთხით.

მეორე მხარეა ეროვნული სულის აღორძინებისათვის სწრაფვა, ახალგაზრდობის ვაჟკაცური, საბრძოლო სულისკვეთების ჩამოყალიბება, ეროვნული ტრადიციებისადმი პატივისცემა.

ეს ერთი და სხვა მრავალი.

გიორგი კვირიკაშვილი,
მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი.

ცრემლად ქცეული ფიქრები
ცაცა სვანიძის და გიმარ ჭენიძის ხსოვნას

გაცილება... ცრემლი... დედის ლოცვა... გულჩაწყვეტა დედის სევდიანი თვალების დანახვაზე. 4 თვეში გაყინვა სამყაროსი, გაურკვევლობა დედის თუ ჩემი არ არსებობის... უცხო ქვეყნის ცივი სახეები, ნუგეშის ვერ პოვნა, გახსენება ნაადრევად წასული მამის, უკეთილშობლესი ადამიანის, ყველასათვის დაუვიწყარი კადრიბ ბენიძის. დედას გაყოლილი სითბო, ბავშვობა და ხალისი... მონატრება უსაშველო დედის თბილი ხელების. ყელში გაჩხერილი ცრემლის გორგალი, შეუგუებლობა, საშინელი სტრესი, მაგრამ ღვთისგან შენი მოცემული ფიქრი: ჩემში შენი არსებობის, შენი სისხლის და ხორცის, მსგავსების ძებნა... პოვნაც კი. სიცოცხლის გაგრძელება შმაგით, ჩემით, კახათი, ხატიათი და შენი უსაყვარლესი საბათი. შენ კვლავ ჩვენთან ხარ, ჩვენო ჭკვიანო, ფაქიზო, ოქროსხელება, მართლაც მასწავლებლად ღვთისაგან დანათლებულო დედიკო.

შენს ოჯახში ისევ თბილა ჩემი ნანა შენსავით დიასახლისობს, რაც მამშვიდებს. იმედი... ცოტა მოშვება და ღმერთი... ოღონდ ეს არა... ატირდა ლარჩვალი, სიზმარი თუ ცხადი სისხლის გაყინვა ძარღვებში, საშინელი თავზარი, შეგრძნება ჩემი მეორედ გარდაცვალების. ოღონდ შენ არა ჩვენო უსაშველოდ მონატრებულო გიმარ! სითბო, ღიმილო, სიკეთევ, თავმდაბლობავ, ღვთისნიერებავ, ყველა კაცური კაცის ღირსების მატარებელო ადამიანო, ვიქეცი ცრემლად ფიქრებთან ერთად. წელიწადის გასვლა შენი იმედიანი ხმის გაგონების გარეშე, საშინელი სიცარიელე, უფრო და უფრო დამძიმება გულს, ნუგეშის ვეღარსად პოვნა, მწუხარებისგან ჩემზე მეტად გათანგული შენი ვიოლეტა და კოზეტა. დიდი ტკივილის დატოვება არა მარტო შენიანებისთვის, იმათთვისაც, ვისაც ერთხელ მაინც გაუცვნიხარ. ჩვენი ცრემლი დიდია, შენს საფლავამდე მოსწვდება მაინც, მაგრამ რწმენა ღირსეული ადგილის მიკუთვნების იმ სავანეში, რომლის კარები ჩვეულებრივი ადამიანისათვის როდისაა ღიად. მეამაყები, ჩემო გიმარ! ლოცვით, ვედრებით ვცდილობთ მე და პაატა ცოტა მაინც მოვიხადოთ ვალი თქვენი სულების წინაშე...

მეტირებით, მენანებით უსაზღვროდ. უფალმა მოგიტევოთ ყოველივე შეცოდებანი, ცათა სასუფეველი დაგემკვიდრებინოთ.

კმარა, ნუღარ ატირდება ჩემი ლეჩხუმი... ჩემი ლარჩვალი და წიფერჩი, ჩემი ბარდნალის საშუალო სკოლა და ნუ ამატირებთ მეც, ცრემლისგან დავიცალესულ მთლად. რწმენაში, ლოცვასა და ღვთის სიყვარულში ვპოვოთ ნუგეში.

გფარავდეთ ღმერთი!

თქვენი მაია ბენიძე
ბელგიიდან

შურმან ბურჭალიანის გახსენება

დღეები დღეებს მისდევს უშენოდ, სიხარული გაფრენილა ჩვენი გულებიდან, უხალისოა უშენოდ ცხოვრება. შენ ხომ სიკეთისა და კაცობის განსახიერება იყავი, ყველას უყვარდი... მაგრამ ღმერთს ჩვენზე მეტად ყვარებიხარ, ყველასთან სიკეთეს თესავდი—სანათესაოში, სამეგობროში.

ყოველთვის აგინთებთ წმინდა სანთლებს და ვილოცებთ შენი სულისათვის.

ძმისშვილები

ცაგერის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები და გაზეთ „ახალი ლეჩხუმის“ რედაქცია თანაუგრძნობენ ინგა ბურჯალიანს-მამის

გივი ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

თამილა ჭაბუკიანი, თამარ დავითულიანი, ირმა მუშკუდიანი, ეკა ყვირილიანი ელისო ცვარიანის თანაგრძნობას უცხადებენ ლაშა ჯოპალიანს მამის და ჭირუსუფალს

ნოდარ ჯოპალიანის

გარდაცვალების გამო.

ᲐᲮᲚᲝᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲨᲘ

თბილისში დამთავრდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფრენბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რაიონის ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი: თენგიზ საღინაძე).

ჩვენმა ფრენბურთელებმა თანმიმდევრობით დაამარცხეს ქ. თბილისის „შევარდენის“, „ნაძალადევის“ და „ორბის“ გუნდები, სძლიეს ქუთაისის ძლიერ გუნდს და მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება.

საქართველოს ფრენბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალი ძალიან ჰგავდა შარშანდელ შეჯიბრებას, რადგან აქ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ძველი მეტოქეები თბილისის ოლიმპიური ცენტრის და ცაგერის გუნდები. შარშან ოლიმპიური ცენტრის გუნდმა შედარებით დამაჯერებლად მოიგო 3:1.

წლევანდელი ფინალი გაცილებით დაძაბული და უშეღავათო გამოდგა, თითქმის ბოლო წუთამდე არავინ იცოდა თუ ვინ გაიმარჯვებდა.

ცაგერელთა გუნდმა არნახული მობილიზაცია გააკეთა ოთხი პარგია ფრედ 2:2 დამთავრდა. გადამწყვეტ სეტში ჩვენი გუნდი იგებდა შესვეღრას ანგარიშით 5:1. თუმცა თბილისის გუნდი მაინც აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა და სამწუხაროდ დავმარცხდით 13:15 საბოლოო ჯამში.

ცაგერელი ფრენბურთელები სულ ახლოს იყვნენ ოლიმპთან. საქართველოს ჩემპიონობა ნამდვილად დიდი საჩუქარი იქნებოდა, მაგრამ რაც გაკეთდა, ჩემი აზრით, მაქსიმუმია ყველა გარემოების და არსებული პრობლემების გათვალისწინებით.

ქება და ქება ჩვენს გუნდს, მის ხელმძღვანელს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თენგიზ საღინაძეს, მოთამაშეებს დათო და ლაშა ლიპარგელიანებს, ოთარ საღინაძეს, ირაკლი ბრეგვაძეს, ზალიკო ხაბულიანს, თემურ ჭაბუკიანს, თემურ ლომთაძეს, ალეკო უგრეხელიძეს და ვასო სვანიძეს.

ზედიზედ მეორედ ცაგერის ფრენბურთელთა გუნდი დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედლებით, რაც დიდი მონაპოვარია.

ვუსურვებ ჩვენს ბიჭებს კიდევ მრავალჯერ ესახელებინოთ მშობლიური ლეჩხუმი.

რაიონის ხელმძღვანელობის, სპორტის სამსახურის მიერ შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გაკეთდა საერთო წარმატებისათვის. ცოტათი კიდევ მეტია საჭირო და ჩემპიონობას აუცილებლად მივაღწევთ.

ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ჩვენი საკ. კორესპონდენტი

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

დამთავრდა მოსწავლეთა პირველობა ცაგერისა და ლაჯანის ზონაში რომელიც ჩატარდა სპორტის ათ სახეობაში. ცაგერის ზონაში ადგილები განანილდა შემდეგნაირად:

I ადგილი _ ცაგერის საჯარო სკოლა.
II ადგილი _ ბარდნალის საჯარო სკოლა.
III ადგილი _ ოყურეშის საჯარო სკოლა.

ᲚᲐᲯᲐᲜᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ

I ადგილი _ ორბელის საჯარო სოკლა
II ადგილი _ ლაჯანის საჯარო სკოლა
III ადგილი _ ალპანის საჯარო სკოლა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქალთა ფრენბურთის შეჯიბრი, რომელიც ჩატარდა ბარდნალის საჯარო სკოლის შესანიშნავ სპორტულ კომპლექსზე. დიდი მადლობა ბარდნალის საჯარო სკოლის დირექციას მხარდაჭერისათვის.

ᲜᲣᲠᲘ ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ,
სპორტული სკოლის დირექტორი

ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

„მე ვნერ ამ სტრიქონებს ქარიან ღამეში,
როდესაც ნვიმის ხვეები ეხვევიან მინას და
როცა სიშორეზე ტირის როიალი“.
„მე ჰოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს
ვრსებობს უფლების ცისფერი მხარე, სადაც
დაფრინავს ჩემი მზუხარე სული“.
ᲢᲔᲠᲔᲜᲢᲘ ᲒᲠᲐᲜᲔᲚᲘ

ღამე, მთვარე და ქარი

წამების წამი დადგა,
ნუთუ იღბალი არის.
ერთად მიდიან სადღაც
ღამე, მთვარე და ქარი.

როგორც საღამოს ლოცვა,
დადგება მთაზე ნისლი.
მიეკარს ღამეში, როცა
ფოთლის შრიალი ისმის.

მაშინ ჭეშლევი დუმილს,
ქვეწინის გაჩენა მიკვირს.
ისევ ღამეა ჩუმი–
შესმის ტირილი სერიჭის.

სრულიად არ ვგრძნობ იმედს,
გაქრა ფიქრების გროვა.
მოდის ტალღები მძიმე
და საშინელი დროა.

***

ზღვას დაემუქრა
ძლიერი ქარი.
მუსიკა უკრავს
და მიდის ქარი.
დაფრინავს მტრედი,
უფრო გვსლია.
ო, ასე თეთრი
დგას ეკლესია.
გავალ მიწიდან,
მინდა ალერსი.
ისევ მიზიდავს
ცა... უმაღლესი...

***

გაჩნდა საღამო
ისევ წვალების.
ვუმღერ სამაროს
ღია თვალებით.
თუ ხარ წვიმისთვის–
ცაო ციხფერო!
მივალ იმისთვის,
რომ დავისვენო.

ᲕᲔᲓᲠᲔᲑᲐ

დავალ ქვეყანაზე, როგორც შერისხული,
შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული.
დავალ ქვეყანაზე, როგორც ბნედიანი,
ღმერთო! მაპატიე უქმად ხეტიალი.
დავალ ქვეყანაზე, როგორც გამარცვული,
ღმერთო! დააჩქარე ჩემი აღსასრული.

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ

ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში,
რესტორნებში, ბაღებში–მე არსად არ გტოვებდი.
შენ ჰოეტად შეგიცნეს–როს ჩაგხედეს თვალებში,
მე კი დავრჩი მტკვრის პირად–უსახელო ჰოეტი.

ᲡᲘᲒᲠᲫᲜᲘᲡ ᲡᲐᲒᲕᲘᲜᲐᲣᲠᲘᲓᲔᲑᲘ

■

გეგმის გარეშე მოქმედება–სიკვდილის ტოლფასია.

■

რისკავენ ბრიყვები, გონიერების რისკსაც გეგმავენ.

■

არა მხოლოდ პურითა ცხოვნდების კაცი.

■

ის გენიოსია და როგორც ყველა გენიოსი.... გიჟიც.

■

რაცა სჭირდება, მასზე მეტი ხალხს თუ არ მიეც, ადამიანი ხომ პირუტყვად გადაიქცევა.

/ᲨᲔᲥᲡ�პᲘᲠᲘ/

■

შიშსა უფლისა სძულს უკეთურებაო.

■

მკურნალო, განკურნე თავი შენი– უთხრა იესომ ნაგარეველებს.

/ᲚᲣᲙᲐ 4, 23/

ᲠᲔᲤᲚᲔᲥᲡᲝᲗᲔᲠᲐ�პᲘᲐ

ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, რადიკულიტი, ჩიყვი, უძილობა, ნევროზი, დეპრესიები, მასტოპათია, თვითმკვლელობის მცდელობები, ჭარბი წონა, ენურეზი, სომნეებრილიტეტი (ე 37° ს), ჰოსტინსულტური დამბლა მუდმივი დაღლილობის სინდრომი, ალკოჰოლიზმი, სიგარეტის გადაგდება, ალიმაქტერიული ალუბი, დიარეა (ტუჭის ქრონიკული აშლილობა). ფსორიაზი არითმია, მტკივნეული მენსტურაცია.

61-65-03; 893 20-68-21.
მეტრო გურამიშვილი გარიშვილების ქ. №18 ექ.
ანატოლი შავიძე ლიც. № 01300

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ!

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲨᲒᲐᲜᲒᲘᲠᲐᲫᲔᲡ! ᲯᲣᲑᲐ ᲣᲠᲗᲛᲔᲚᲘᲫᲔᲡ!

გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძეძლიერი ქართული ოჯახი, გამრავლდით და გაიხარეთ.

ᲪᲐᲪᲔᲠᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘ.

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲨᲒᲐᲜᲒᲘᲠᲐᲫᲔᲡ! ᲯᲣᲑᲐ ᲣᲠᲗᲛᲔᲚᲘᲫᲔᲡ!

გილოცავთ ოჯახის შექმნას, ღმერთმა ბედნიერება. შვილთა სიმრავლე. სიყვარული ნუ მოგაკლოთ. უფალი გფარავდეთ!

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲒᲢᲘᲒᲝᲚ ᲢᲝᲛᲐᲫᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲢᲘ

„ჩემმა მკითხველმა იცი, თუ როგორ მესახვის მე მცხეთა. იგი წმინდა საშოა ჩვენი მიწისა, იქ ეგულებოდა ჩემს ძვლებს საფლავი კარდუსი. მცხეთის მიდამო აირჩიეს ძველმა მოგვებმა. ერთი ადგილი: იქ ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ისინი მზესა და ცეცხლს. მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს სჯული. აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი ვაზისა ნასხვლევებისაგან და მოახვია მას თავისი თმები. იქვე მტკიცდებოდა ხელმწიფობა საქართველოში.

აი, მცხეთა, როგორც კამარა მოკლებული „მთელი“ –ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ადამიანურის ურთიერთზიარებისა. „სვეტიცხოველი“ ამ ზიარების ქვით ნაშენი ტანია. შედიხარ ტაძარში და ამჩნევ კუთხეში პაწა სალოცავს ძველისძველად აშენებულს. ტაძრის მშენებლებს იგი არ დაუნგრევიათ.

თუ ზემოხსენებული ამბები ქართული გენის ნაპერწკალია, ეს სალოცავი ამ მადლის განმარტებაა თვითონ, იგი თითქოს აკვანია იმ პირველი ლოცვისა, რომელიც აქ აღმოხდათ ღვთის ძის მიმარ მღვივარ გულებს: ჩვენ ძველებს ხელი არ უხლიათ მისთვის, რათა არ წაშლილიყო პირველი ლოცვის ნეტარმაცხოვნებელი კვალი... რა სინაზეა აქ, რა სისუფთავე ნივთიერებისადმი, რომელშიაც ადამიანში შობილ ღვთიურ ნაკადს გაუვლია...

ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთის, წიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არასა ვთხოვთ საქართველოს“.

რედაქტორი
თამარ
ᲓᲐᲕᲘᲗᲨᲕᲚᲘᲐᲜᲘ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ
ᲞᲠᲘᲜᲢᲘ
ᲛᲐᲖᲘᲐᲠ
ᲥᲘᲜᲯᲚᲐᲫᲔ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ:
ᲔᲚᲐ ᲧᲕᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲘ,
ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲡᲝᲤᲠᲘᲫᲔ,
ᲔᲚᲐ ᲒᲔᲜᲚᲣᲚᲘᲐᲜᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲠᲐᲒᲔᲜᲘ, ᲠᲘᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ
№47 ᲢᲔᲚ: 899 95878

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲐᲛᲬᲔᲠᲘ, ᲓᲐᲒᲐᲠᲜᲘᲡ ᲓᲐ
ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲔᲚᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲠ
„ᲛᲐᲜᲓᲐᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ“
Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, Მ. ᲯᲐᲥᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩ. №33
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 23779, 23490